ოქმი N7

ხობის მუნიციპალიტეტის მეექვსე მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო-საპროცედურო და ეთიკის კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 14 მაისი 2026 წელი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. მედეა თათარიშვილი
2. მიმოზა ლემონჯავა
3. გივი ლატარია
4. აკაკი ხურცილავა
5. ლაშა ცატავა

სხდომას თავმჯდომარეობდა მედეა თათარიშვილი - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ლ. შამათავას 2026 წლის 13 მაისის N 51-51261333 მოხსენებითი ბარათის განხილვა (საკრებულოს წევრების ხარჯებში ცვლილების თაობაზე);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა
კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს
კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 5, წინააღმდეგი - არც ერთი.
დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის ლ. შამათავას 2026 წლის 13 მაისის N 51-51261333 მოხსენებითი ბარათის განხილვა (საკრებულოს წევრების ხარჯებში ცვლილების თაობაზე);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: მ. თათარიშვილი - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო, „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების

ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის N17 დადგენილების მე-3 მუხლი განმარტავს შემდეგს: „საკრებულოს წევრს ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველთვიურად აუნაზაღაურდება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გაწეული სხვადასხვა ხარჯები (ტრანსპორტირების (საწვავის) და ამომრჩევლებთან კომუნიკაციის (მობილური ტელეფონით სარგებლობის) ხარჯები), რაზედაც გაწეული ხარჯის კონკრეტული ოდენობის განსაზღვრისათვის საკრებულოს აპარატის უფროსის სახელზე წარმოადგენს განცხადებას ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტებთან და ამომრჩევლებთან შეხვედრის საოქმო ჩანაწერთან ერთად, არაუგვიანეს ყოველი თვის პირველი რიცხვისა.“ დადგენილების ამ მუხლის თანახმად, საკრებულოს წევრები ვალდებულნი არიან, არაუგვიანეს ყოველი თვის პირველი რიცხვისა, განცხადებასთან ერთად საკრებულოს აპარატის უფროსს წარუდგინონ ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რაც უმეტეს შემთხვევაში არ ხორციელდება და საკრებულოს წევრების მხრიდან განცხადებები წარმოდგენილია ხოლმე თვის 5 რიცხვისთვის. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიმაჩნია დადგენილების მე-3 მუხლში შეტანილ იქნეს ცვლილება და განცხადების წარმოდგენის ვადად განისაზღვროს ყოველი თვის ხუთი რიცხვი, შესაბამისი ცვლილება უნდა განხორციელდეს დადგენილების მე-5 მუხლშიც, სადაც აღნიშნულია, რომ ანაზღაურება უნდა განხორციელდეს ყოველი თვის არაუგვიანეს ხუთი რიცხვისა და ეს ვადა უნდა განისაზღვროს ყოველი თვის 10 რიცხვით.

ზემო აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა დადგენილების პროექტი: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

აზრი გამოთქვეს: კომისიის წევრების მხრიდან შენიშვნები არ ყოფილა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: **5** ; წინააღმდეგი: **არც ერთი**

დაადგინეს: „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურების წესისა და ზღვრული ოდენობის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 აპრილის N17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტის შესახებ კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს თავმჯდომარეს საკრებულოს სხდომაზე შემდგომი განხილვის მიზნით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე მედეა თათარიშვილი